სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნიევრსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2019 წლის 29 იანვრის **№23/01-01** ბრძანების საფუძველზე ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კათედრაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 11 თებერვლის **№16/2019** დადგენილების პირველი პუნქტის საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

ოქმი (შემაჯამებელი) №5

ქ. თბილისი 20 მარტი, 2019 წ

16:00

სხდომას კომისიის 5 წევრიდან ესწრებოდა 4 წევრი: 1. პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი(კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 2. ასისტენტ-პროფესორი მაია გაიოზიშვილი (კომისიის მდივანი); 3. ასოცირებული პროფესორი ირინა მოდებაძე; 4. ასოცირებული პროფესორი მარიამ გაიდამაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კათედრის ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება;
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის შედგენა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის პროფესორ არნოლდ გეგეჭკორის ინფორმაცია საბუთების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 11 თებერვლის **№16/2019** დადგენილების საფუძველზე შექმნილ კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში და კომისია შეუდგა მუშაობას.

საკითხი 1

ბიომრავალფეროვნების კათედრის კონკურსანტი მარინე ბოკერია

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის მოადგილის პროფესორ არნოლდ გეგეჭკორის შემაჯამებელი ინფორმაცია. მან მოკლედ შეაფასა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტ მარინე ბოკერიას **კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს** კონკურსანტის მიერ დასაკავებელ ვაკანტურ თანამდებობაზე, რადგან მარინე ბოკერიას განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, სამსახურებრივი გამოცდილება ვაკანსიის პროფილის შესაბამისია, ამასთან პედაგოგიური სტაჟი არ შეესაბამება ვაკანსიის პროფილს.

მეორე კატეგორიაში - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **დაბალი**, რადგან იგი ვერ აკმაყოფილებს ამ კატეგორიის 2.1 - პედაგოგიური გამოცდილება (ვაკანსიის პროფილთან შესაბამისობა), 2.2 - სასწავლო-მეთოდური საქმიანობა პუნქტების მოთხოვნებს. 2.3 - კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ტრენინგების მიხედვით კონკურსანტმა მიიღო დადებითი შეფასება.

II კატეგორიის 2.4 პუნქტში მითითებულია 5 სასწავლო კურსის დასახელება (2-ბაკალავრიატი და 3 მაგისტრატურა), რომლებიც შესაბამისობაშია თსუ-ში მოქმედ სასწავლო პროგრამების კურსებთან. ამავე კატეგორიის 2.5 პუნქტში - წარმოდგენილი სილაბუსები, კონკურსანტს დანართის სახით წარმოდგენილი აქვს 5 კურსის სილაბუსი, რომელთაგან არც ერთი არ ეკუთვნის მას.

III კატეგორიის - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ერთ პუქნტში (1. ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას) კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **დაბალი, ხოლო მეორე პუნქტში** (2. ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას) კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **საშუალო**. კონკურსანტს გამოქვეყნებული აქვს სხვადასხვა პუბლიკაცია (31) (სტატიები, საკონფერენციო მასალები, ანგარიშები); მონაწილეობა აქვს მიღებული 1 საგრანტო პროექტში (ბოლო 6 წელში); ბოლო 6 წლის განმავლობაში წარდგენილი აქვს მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე (3). 2006-2015 წლებში თანამშრომლობდა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან, საერთო პროექტის ფარგლებში და მივლინება/სტაჟირების სახით. ამასთან, კონკურსანტის სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლები არ არის მოცემული. აღსანიშნავია, ასევე, რომ კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილია ნაშრომი, რომელიც შესაბამისობაშია დარგთან. კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების კონცეფცია შინაარსითა და ფორმით არ შეესაბამება კონცეფციას.

IV კატეგორიის მიხედვით - სხვა სახის აქტივობები, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტმა მიიღო შეფასება - **დაბალი,** ვინაიდან კონკურსანტის მიერ აღნიშნულ პუნქტში მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ ენებისა და საბაზისო კომპიუტერული პროგრამების ცოდნის შესახებ.

კომისიამ დაადგინა:

კონკურსანტ მარინე ბოკერიას არ მიენიჭა პრეტენდენტის სტატუსი თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კათედრის ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე (#118/2014 დადგენილების მე-6 მუხლის 7-ე პუნქტის შესაბამისად) და მოიხსნა კონკურსიდან.

საკითხი 2.

საკონკურსო კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩაატრების წესის თანახმად ერთხმად

დაადგინა:

შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნიევრსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

პროფესორი არნოლდ გეგეჭკორი

კომისიის მდივანი:

ასისტენტ-პროფესორი მაია გაიოზიშვილი

კომისიის წევრები:

ასოცირებული პროფესორი მარიამ გაიდამაშვილი

ასოცირებული პროფესორი ირინა მოდებაძე